


## სტუ-ს პროფესორის მონაწილეობა კაიროს საერთაშორისო კონფერენციებში

5-10 დეკემბერს ქ. კაიროში (ეგვიპტე) გაიმართა ორი მაღალი დონის საერთაშორისო კონფერენცია, VIII IEEE საერთაშორისო კონფერენცია Intelligent Computing and Information Systems (ICICIS 2017) და II საერთაშორისო კონფერენცია Knowledge Engineering and Big Data Analytics (KE&BDA)".

კონფერენციებზე მოხსენებებით წარდგა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფიზიკის დეპარტამენტის პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი პაატა კერვალიშვილი.

პირველ კონფერენციაზე მისი მოხსენების თემას წარმოადგენდა „ტელეპორტაცია - უახლესი მიღწევები და შეხედულებები“ ("Teleportation – The Novel Achievements and Views"), ხოლო მეორე კონფერენციაზე (რომელსაც პროფ. კერვალიშვილი უძღვებოდა) – „მონაცემთა შენახვა - კვანტური მიდგომა“ ("Data Storage – Quantum Approach").

ღონისძიებაზე გადაწყდა ეგვიპტის ან შამსის უნივერსიტეტსა (კაირო) და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების საკითხი, რომელშიც პირველ ეტაპზე ან შამსის უნივერსიტეტის კომპიუტერული და ინფორმაციული მეცნიერებების ფაკულტეტი (დაახლოებით 45000 სტუდენტი) და სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი ჩაერთვებიან.



ან შამსის უნივერსიტეტის პრეზიდენტი პროფესორი აბდელ -ვაჰაბ ეზატი გადასცემს პროფესორ პ. კერვალიშვილს საპატიო დიპლომს.



კონფერენციის ორგანიზატორები





ეგვიპტის მომავლის უნივერსიტეტის პრეზიდენტი პროფესორი ეზადა სარანი პ. კერვალიშვილს გადასცემს საპატიო დიპლომს.